სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის ანგარიში

„საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე“

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ, რომლის დებულებაც დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს N01-91/ნ ბრძანებით.

სააგენტოს სახელმწიფო კოტროლის განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სააგენტო წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის რიგი სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელს. სააგენტოს მიერ აღნიშნული ანგარიში მომზადებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და წარედგინება საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე, სსიპ - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

ანგარიში მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების და მათზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, 2024 წლის 1 დეკემბრიდან 2025 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდზე, ასევე, ინფორმაციას ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლების, შენახვისა და გაცემის თაობაზე.

1. სტატისტიკური ინფორმაცია:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა რაოდენობა - 79, მ.შ.:

ბ) საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა - 0;

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 1;

დ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გადაწყვეტილებათა

რაოდენობა -0;

ე) დამუშავების ეტაპზე - 0.

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების ან ასეთი მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძვლები: მოთხოვნა ან მისი ნაწილი ეხებოდა პერსონალურ/კომერციულ მონაცემებს, წარმოადგენდა სხვა უწყების კომპეტენციას, მონაცემები არ აღირიცხებოდა სააგენტოს მიერ.

2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრულია სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კერძოდ, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებად, მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსისა და კომპეტენციის შესაბამისად, განსაზღვრული არიან სააგენტოს სტრუქტურაში შემავალი ერთეულების (სამსახური/დეპარტამენტი) ხელმძღვანელი პირები.

2.2. სააგენტოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე.

2.3. სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე (https://nha.moh.gov.ge) განთავსებულია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიხედვით დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია, აგრეთვე:

ა) ინფორმაცია სააგენტოს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთა შესახებ;

ბ) ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების შესახებ;

გ) ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ;

დ) ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ;

ე) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ;

ვ) ინფორმაცია სააგენტოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ;

ზ) სხვა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.

3. პერსონალური მონაცემების დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა

3.1. სააგენტო, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ამუშავებს ფიზიკურ პირთა პერსონალურ, მ.შ., განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობის შესახებ) მონაცემებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-6 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლებით (მონაცემთა სუბიექტის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

3.2. მონაცემთა დამუშავებას სააგენტო ახორციელებს ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით საშუალებებით.

3.3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული პრინციპები და სხვა მოთხოვნები, კერძოდ, პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისი მოცულობით, დაცულია და ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

3.4. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ უზრუნველყოფილია ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

3.5. პერსონალური მონაცემების მესამე პირისათვის გაცემა არ ხდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სააგენტოში ადგილი არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური ზომების გატარების ფაქტს.